ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 208

“ 20 ” მაისი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, მთისძირის ქუჩა №101-ის მიმდებარედ არსებული 39.96 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.08.004.034.01.500) და 4.14 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.08.004.033.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, მთისძირის ქუჩა №101-ის მიმდებარედ არსებული 39.96 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.08.004.034.01.500) და 4.14 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.08.004.033.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 7 მაისის №25.734.811 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, მთისძირის ქუჩა №101-ის მიმდებარედ პირველ სართულზე არსებული 39.96 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.08.004.034.01.500) და ქალაქ თბილისში, მთისძირის ქუჩა №101-ის მიმდებარედ პირველ სართულზე არსებული 4.14 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.08.004.033.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მერაბ შვანგირაძისთვის (პ/ნ 53001018535) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ვიორგი ტყემალაძე